თავისუფალი საქართველო

№7

5- 11 მარტი

1996 წ.

ფასი 20 თეთრი

WEEKLY NEWSPAPER TAVISUPALI SAKARTVELO (FREE GEORGIA)

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონსტანტინე გამსახურდია

ზვიად გამსახურდია

დისიდენტი - პრეზიდენტი - მოწამე

(წიგნი იბეჭდება მცირე შემოკლებით და ავტორისეული დამატებებით)

თავი მეორე

ორი სულიერი ძმა

ზვიად გამსახურდია ,და მერაბ კოსტავა სიყრმის მეგობრები იყვნენ. ისინი კონსტანტინე გამსახურდიას მეთვალყურეობის ქვეშ იზრდებოდნენ და მისი მდიდარი ბიბლიოთეკით სარგებლობის უფლებაც ჰქონდათ. ბიბლიოთეკა მოთავსებული იყო „ოქროსტურ კოშკში“, გამიმწვარი წითელი აგურის შენობაში, რომელიც კონსტანტინე გამსახურდიამ 40-ან წლებში საცხოვრებლად აიშენა. თავად ოჯახის უფროსი წარმოშობით დასავლეთ საქართველოდან იყო. ამ მხარეს ძველად კოლხეთი ერქვა. “კოლხური ოშაკი“ ეს თავისუფალ სივრცეს ეკუთვნოდა, სადაც კომუნიზმის იდეები ვერ აღწევდა. საშობლოს სიყვარულის აქ ნასათუთებმა გრძნობამ დასაბამი მისცა სულისკვეთებას, რომელიც სათავეს ქართველ გმირთა და წმინდანთა ისტორიიდან იღებდა და სრულებით არ ჰგავდა მე-19 საუკუნის ევროპულ ნაციონალიზმს. მისი შედარება შეიძლება გერმანელი ფიხტეს სულთან, რომლისთვისაც პატრიოტიზმი უმაღლესი სულიერ-ზნეობრივი იდეალი იყო და არასოდეს გამხდარა იმპულსი პოლიტიკურ - ძალაუფრებრივი თუ სეცესიონისტური მისწრაფებებისთვის. ასეთ სულიერ გარემოში კონსტანტინე გამსახურდია ორ ჭაბუკს, როგორც მათი მასწავლებელი და აღმზრდელი, ევროპული კულტურის უმშვენიერეს სამყაროს ასახარებდა. არც იყო გასაკვირი, რომ ეს ახალგაზრდები სიყრმიდანვე დაუპირისპირდნენ სამშობლოში გაბატონებულ რეჟიმს და ოქტომბერი წლის ასაში პირველი დაპატიმრება წვნიეს. მოვლენები შემდეგნაირად განვითარდა: 1956 წლის გაზაფხულზე ხრუშჩოვმა გამოსცა ბრძანებულება საბჭოთა კავშირის მიერ ტერიტორიიდან სტალინის ძეგლების აღების შესახებ. ეს იყო პიროვნების კულტის წინააღმდეგ მიმართული ქმედება, რაც ბევრგან მოწონებული იქნა. სტალინის ქართული წარმომავლობის გამო, ამ კამპანიას საქართველოში უმტკივნეულოდ არ ჩაუვლია. აოწლეულების მანძილზე თანამემამულის პატივისცემას მიჩვეულმა ხალხმა, რომელიც გარკვეულწილად ამაყობდა კიდეც ამ “დიდი“ ადამიანით, თავი შეურცხყოფილად იგრძნო და მღელვარე პროტესტი გამოხატა. თუმცა სიხარულსაც ჰქონდა ადგილი, რადგან ჩანდა, რომ სტალინის სიკვდილის შემდეგ მათი ჩაგვრის ულელი შემსუბუქდებოდა. რაც არ უნდა აბსურდულად ჩანდეს, საქართველოში ერთდროულად ზეიმობდნენ და პროტესტსაც გამოთქამდნენ. მარტის დასაწყისში ასიათასობით ადამიანი თბილისისკენ დაიძრა. მსვლელობამ ერთ კვირას გასტანა. სპეციალურმა ნაწილებმა მანიფესტანტებს ცეცხლი გაუხსნეს. დაახლოებით 200 გვამი მდინარე მტკვარს გაატანეს. მღელვარება აილაგმა.

ამავე პერიოდში უნგრეთშიც ჩაახშვეს საპროტესტო გამოსვლები, რასაც იმრე ნაგის დაღუპვა მოჰყვა. ცხრა ახალგაზრდა ქართველი დისიდენტი შეეცადა თანამემამულეებში ეროვნული სულისკვეთების ასამაღლებლად მათი ყურადღება უნგრეთში მიმდინარე პროცესებისკენ მიეპყრო. ახალგაზრდებმა პროკლამაციები გააკრეს ქუჩებში:

“დღეს, როცა მთელი მოაზროვნე კაცობრიობა აღშფოთებულია მოსკოვის მხეცური ქმედებით, დღის წესრიგში დგება ჩვენი არსებობის საკითხი. ერთი დროშის ქვეშ უნდა გავერთიანდეთ დამპყრობლების წინააღმდეგ.

მიმოიხედეთ! ქვეყანაში არეულობა სუფევს. ახლოვდება კრემლის ჯალათთა განკითხვის დღე. თბილისში, პოზნანში, ბუდაპეშტში მათ მიერ დაღვრილი სისხლი სამართალს ითხოვს. მათი დღეები დათვლილია.

ქართველნო! ჩვენ თავს ჩვენადვე უნდა ვუშველოთ. თავისუფლება ბრძოლით მოიპოვება. მეგობრულად მივესალმებით გმირ უნგრელ ხალხს! უნგრეთი ყველა დამონებული ხალხისთვის მაგალითი უნდა გახდეს! ხელები შორს უნგრეთისაგან! ძირს ოკუპანტები, რომელთაც ჩვენი ხალხის სისხლში აქვთ ხელები გასვრილი! ძირს სამხედრო ხროვა! ძირს მოღალატე ქართველი კომუნისტები!

გაუმარჯოს თავისუფალ დამოუკიდებელ საქართველოს!“

რა თქმა უნდა, არასრულწლოვანი დისიდენტები დაპატიმრეს, მაგრამ კონსტანტინე გამსახურდიას უდიდესი ავტორიტეტის წყალობით, მალევე გაათავისუფლეს.

იმჟამად თავს გარდახდენილს გულისხმობდა მერაბ კოსტავა, როდესაც თავის ლექსში წერდა:

“შლეგებს მოეგებიდით მოყმენი ცხრანი,
ვეფხთან სარკენად ველად გასულებს.“

სულისკვეთებას, რომელიც ამ ახალგაზრდებს ამოძრავებდა, ალბათ, ის იგრძნობდა, ვისაც თავადაც აწუხებდა საშობლოს ბედი.

იმჟამინდელმა ვნებათაღელვამ პოეტური გარდასახვა ჰპოვა ლექსში, რომელიც ზვიად გამსახურდიამ თხუთმეტი წლის ასაკში უძღვნა მერაბ კოსტავას:

ჩვენ ძლიერ ხშირად გვიფიქრია, ძმაო, ამაზე
როდის აღსდგება საშობლო ჩვენი,
და დაბრუნდება კვლავ სილამაზე
თავისუფლების და აღმაფრენის.

როდის დადგება ის დღე დიადი,
როს ბორკილს შევხსნით ერს დამცირებულს,
და დაუბრმავებს თვალს განთიადი,
ჩრდილეთის წითელ ჯალათთა კრებულს!...

და საქართველო დიდჭირნახული
გამოფხიზლდება ყველა იოგით,
ჩვენ დვთისშობელი გვწყალობს ხახულის
და გვიცავს მარად თეთრი გიორგი.

ათი წლის შემდეგ, 1964 წელს, მერაბ კოსტავამ მას ლექსითვე უპასუხა:

შენი საშობლო არის სულეთი.
სხვა სრა-სასახლე, ძმაო, ნუ გინდა,
დე, ხალხის თვალში დარჩი სულელი,
მამის წინაშე იყავი წმინდა.

დაე, გფარავდეს ვარსკვლავთ კრებული
და მიქაელის ცეცხლის მახვილი,
დაე, ღირსად გცნონ, იქმნა ვნებული,
წმინდა ზვარაკის ტკბილი სასმელით.

არ მიიკარო მწიკული ხადის,
შენი ტანია თვით ეკლესია,
სცან ღალადისი, გზა განიმადე,
დედამიწაზე დადის მესსია!

(გაგრძელება მე-4 გვ.)

საქართველოში მომხდარი სამხედრო გადატრიალებიდან ოთხი წელი გავიდა. ნეობოლშევიკთა მმართველობის ეს პერიოდი უმძიმესი აღმოჩნდა როგორც ჩვენი ქვეყნის, ასევე მთელი კავკასიისთვის. დღეს, როდესაც რუსეთის იმპერიის მმართველია მიერ ჩეჩნეთში გაჩაღებულმა ომმა ლამისაა ქთელი კავკასია მოიცვას, ცხადზე უცხადესი ხდება, თუ რად ულირდა რუსეთს ეროვნული ხელისუფლების დამხობა საქართველოში და შემდეგ, ქართველია დაპირისპირების პროვოცირება მთელს კავკასიასთან. რუსეთ-ჩეჩნეთის ომი, შეიძლება ითქვას, აქ, საქართველოში დიწყო... რუსეთმა საქართველოს კანონიერი ხელისუფლების დამხობით, არა მხოლოდ ქართული სახელმწიფოებრიობა მოსპო, არამედ ნიადაგი მოუმზადა ჩეჩნეთის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ საომარ მოქმედებებს. ამას დღეს უკვე რუსეთის ხელისუფალნიც ველარ მალავენ. ელცინი ღიად აცხადებს, რომ აქამდე ვერ ახერხებდა ჩეჩნეთის წინააღმდეგ ქმედებას, ვინაიდან საქართველოში რუსეთისადმი არაკეთილგანწყობილი ხელისუფლება იყო. შევარდნაძის რეჟიმმა ხელ-ფეხი გაუხსნა რუსეთის ბარბაროსობას ჩეჩნეთში. აქედან გამომდინარე, ყველა, ვინც ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ იბრძოდა, იმავდროულად ებრძოდა ქართველ ერს და კავკასიის თავისუფლებისთვის მებრძოლ ერებს.

ეული ძალები გააქტიურდნენო, - ჩივიან ისინი, - და ამით ხსნიან კავკასიის ერთიანი სახლის მუშაობის შეჩერებას. ახლა ისინი “ახალ ძალებსა და შესაძლებლობებს ეძებენ, რათა სახალხო დიპლომატიამ და ხელოვნებამ შეარიგოს დაპირისპირებული ძალები.“ საყურადღებოა “კავკასიური სახლის“ სამეცნიერო საბჭოს განცხადებაც, რომლის მიხედვით, ადრეც და ახლაც ჩეჩნეთისადმი სოლიდარობის უპირველესი მებაირახტრე ეს ორგანიზაცია ყოფილა...

რასაკვირველია, ცუდი არაფერია იმაში, რომ დაბნელებული გონება განათდეს და კეთილშობილური მიზნების მიღწევა დაისახოს უმთავრეს ამოცანად, მაგრამ უნებურად გვებადება კითხვა: სად, ვისში უნდა ვეძებოთ ეს ძალა - იქნებ, საქართველოს მწკანეებში, რომელთაც თავისი წვლილი უკვე შეიტანეს ჩვენს თავს დატრიალებულ უბედურებაში და რომლის ლიდერი ძნელად თუ შეძლებს რაიმე ავტორიტეტის მოპოვებას ადამიანში ღირსებისა და კაცურკაცობის მაძიებელ კავკასიელებში, ან იქნება იმ “პროკავკასიურ ინტელიგენციაში“, რომლის ქართული კულტურის შემრისხველი ბანოვანი მესვეური შევარდნაძის მეგობარ გეწშერს საქართველოში ფაშიზმის დამარცხებას უპატაკებდა?

კვლავ პოლიტიკური ფართი-ფურთი

(ამჯერად "კარგი" კავკასიის ძიებაში)

საქართველოში უცნაური ამბების მომსწრენი ვხდებით... განვლილმა ოთხმა წელმა ბევრს ხელი მოუთბო, ბევრი გააუბედურა, ბევრი კი - მათთვის სრულიად მოულოდნელად, ხელმოცარული და გვერდზე მოსროლილი აღმოჩნდა... მიუხედავად “დემოკრატიისთვის“ ბრძოლაში გამოჩენილი საარაკო შემართებისა, ეს უკანასკნელნი რაიმე დიდ პოლიტიკურ ძალად ვერ ჩამოყალიბდნენ თავიანთი იდეების სარეალიზაციოდ. მაგრამ ყველა მიხვდა, რომ მოატყუეს და ახლა მყვინალა განცხადებებით, შეკრებებით, პრესკონფერენციებით, “სენსაციური“ პუბლიკაციებით და ინტერვიუებით, მიმართვებით აუწყებენ ხალხს თავიანთი სიცოცხლის შესახებ. ამის საუკეთესო საშუალებად, ერთ დროს ყველა მათგანისთვის მიუღებელი და საზოთირო “ზვიად გამსახურდიას იდეების“ გახსენება და “პოპულარიზაცია“ მიიჩნიეს... თქვენ წარმოიდგინეთ, ამ “პროვინციული აზრების“ ქადაგებაზე ისინიც არ ამბობენ უარს, ვინც აქამდე თავისი “ცისფერსისხლიანობით“, ინტელექტით და ზემადალი წარმომავლობით ეკეკლუცებოდა ქართველ ხალხს, ვისაც ასე გამაღიზიანებლად უღიტინებდა ცხვირში “ნახირისა და ბრბოს“ უსიამო სურნელი, აგრერიგად აფრთხობდა “ფაფახიანი ჩეჩენი ველურის“ სახება და დღედღამ შეჩვეთში “მლიოკელი“, “მუსლიმანობამიღებული“ საქართველოს პირველი პრეზიდენტი ელანდებოდა...

დიახ, სწორედ ამ ადამიანებმა ბოლო ხანს განგვაცვიფრეს თავიანთი “თამამი და შეუპოვარი“ განცხადებებით. ლაპარაკი წამოიწყეს კავკასიის საერთო სახლზე, ჩვენს ძმობაზე, იბერიულ-კავკასიურ ერთობაზე... პარლამენტიდან ქუჩის “ოპოზიციაში“ გადანაცვლებული ზომიერი მემარჯვენე ცენტრისტი ა. ასათიანი, მოულოდნელად, “სუპერრადიკალი“ გახდა და ჩვენი დამოძღვრა დაიწყო: “უნდა აღდგეს ზვიად გამსახურდიას იდეა ერთიანი კავკასიური სახლის შექმნის შესახებ“-ო. რესტაურატორთა შორის ბ-ნი აკაკი უთუოდ თავის თავსაც მოიაზრებს.

მაგრამ, იმისთვის, რაც აღსადგენი ჰგონია ა. ასათიანს, იოურე კარგა ხანია საფუძველი ჩაუყრია “კავკასიურ სახლსა“ და საქართველოს მწვანეებს. როგორც კავკასიის ეკოლოგიური საბჭოს მემორანდუმშია ნათქვამი, ეს მოძრაობა 1990 წელს იღებს სათავეს. “მაშინ, საქართველოშიც და ჩრდ. კავკასიაშიც, ჩვენი მოძრაობის წინააღმდეგ გარკვეული ძალები გააქტიურდნენო, - ჩივიან ისინი, - და ამით ხსნიან კავკასიის ერთიანი სახლის მუშაობის შეჩერებას. ახლა ისინი “ახალ ძალებსა და შესაძლებლობებს ეძებენ, რათა სახალხო დიპლომატიამ და ხელოვნებამ შეარიგოს დაპირისპირებული ძალები.“ საყურადღებოა “კავკასიური სახლის“ სამეცნიერო საბჭოს განცხადებაც, რომლის მიხედვით, ადრეც და ახლაც ჩეჩნეთისადმი სოლიდარობის უპირველესი მებაირახტრე ეს ორგანიზაცია ყოფილა...

საერთოდ, რამ აალაპარაკა ასე ერთდროულად ეს ადამიანები, რომელთაც აქამდე ერომანეთთან მხოლოდ ზვიად გამსახურდიასთან და მის კავკასიურ პოლიტიკასთან დაპირისპირება აკავშირებდა? ამ კითხვაზე პასუხს დიდი ლოდინი აღარ დასჭირვებია. სულ ახლახანს უკვე თვით ედუარდ შევარდნაძემ “იგრძნო“ კავკასიელ ხალხებთან ურთიერთობების საჭიროება და მისთვის ჩვეული “გლობალური კავკასიური მოწესრიგების“ გეგმა წარმოადგინა. საყურადღებოა, რომ თავისი ინიციატივა ე. შევარდნაძემ საქართველოს ელჩებთან შეხვედრაზე წამოაყენა, რაც შემთხვევითი არ არის და საგარეო პოლიტიკაში “ახალ ძერებს“ მოასწავებს.

შევარდნაძის გამოსვლის შემდეგ, ზემოხსენებულ “პროკავკასიულ პოლიტიკოსთა“ აქტიურობის მიზეზიც ნათელი გახდა. ზემოდან დაკვეთილი, “ნებადართული ეაკაცობით“ კიდევ ერთხელ თავმოწონების საშუალება ხელიდან არ იქნა გაშვებული მათ მიერ, რაც ამ პიროვნებების უტყუარ პოლიტიკურ გეშზე მიუთითებს. მათი აზრით, ახლა მხოლოდ ტექნიკური მხარეღაა მოსაგვარებელი. ალბათ ფიქრობენ, კავკასიელებთან ურთიერთობის აღდგენა ისევე იოლი იქნება, როგორც ქვეყნის “პოლიტიკური იზოლაციონიზმის ჭაობიდან ამოთრევა“ ოთხი წლის წინ. ქართველთა “სისხლისმსმელებთან“, “ნაძირალებთან“, აფხაზეთის ძირძველ ქართულ მიწაზე მოთარეშე “კბილებში ხანჯალგაჩრილ“, “ფაფახიან“, “დაუნდობელ და სასტიკ ჩეჩნებთან“ ურთიერთობის აღდგენას როგორ მოახერხებენ ამ ხალხის ზემოხსენებული ეპითეტებით შემკობნი, გამოცანად რჩება.

თუმცა, ცნობაში - ჩეჩენი ხალხი - ჩვენს და მათ მიერ, ალბათ, სულ სხვადასხვა ადამიანები არის ნაგულისხმევი. თუ ჩვენთვის ჯოჰარ დუდაევსა და მის თანამებრძოლებშია განსხეულებული თავისუფლებისთვის მებრძოლი ვაინახური სული, ჩვენი ინტელიგენტები და მათი მოძღვარი, ალბათ, დოკუ ზავგაევს მოიაზრებენ პარტნიორად. ეს არც არის გასაკვირი: თვით ჩეჩნეთში ზავგაევს “ჩეჩენ შევარდნაძეს“ უწოდებენ, რადგან თვლიან, რომ გამყოფელობის მასშტაბებით მხოლოდ მან შეძლო მიახლოებოდა ქართველ მმართველს.

ნუგზარ წიკლაური

ვახტანგ (ლოთი) ჭობალიას ახსნა-განმარტება

შევარდნაძე აფხაზეთის ომში ჩვენი მონაწილეობის წინააღმდეგი იყო

1992 წლის ოქტომბრის თვეა. აფხაზეთში ომი ახალი დაწყებული იყო. ზუგდიდში ჩამოვიდნენ აფხაზეთის სახელმწიფო მინისტრი გოგა ხაინდრავა, შინაგან საქმეთა მინისტრი რომან გვენცაძე, აფხაზეთის უზენაესი საბჭოს წევრები - ჯუმალ გამახარია და კიდევ ერთი, სახელი არ მახსოვს. მათ მთხოვეს დახმარება, ვინაიდან ე.წ. სამხედრო საბჭოს თუ ხელისუფლებას დაქვემდებარებული ბანდები - ჩვენ მათ ასე ვუწოდებთ - ვერ აკონტროლებენ სიტუაციას. ომის წარმოების მაგივრად, დაიწყეს მშვიდობიანი მოსახლეობის ძარცვა, თავიდან აფხაზური მოსახლეობის, შემდეგ სომხურის და ახლა უკვე ქართულის. ნაძარცვით ბრუნდებიან თბილისში და ფრონტის ხაზი იღბლად იყო მიტოვებული.

ჩვენ დავუყენეთ წინადადება, რომ თუ იქნებოდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებული შეიარაღებული ძალების ერთიანი ხელმძღვანელობა, არ იქნებოდა სხვადასხვა ცალკეული ბანდფორმირებები - "მგელი", "ტურა", "არწივი", "მხედრიონი" და ამგვარი, - თუ ისინი ერთიან დაქვემდებარებაში შევიდოდნენ, თუ ფაქტობრივი ხელისუფლება მოგვცემდა საშუალებას, ერთიანი შეიარაღებული ძალით შევსულიყავით აფხაზეთში და წერტილი დაგვესვა ამ პროვოკაციული ომისთვის, მაშინ ჩვენ მონაწილეობას მივიღებდით მასში.

იმავე დღეს გოგა ხაინდრავამ თქვა - თუ ეს არ განხორციელდა, მე ვტოვებ სახელმწიფო მინისტრის თანამდებობას და შენთან გადმოვდივარო. იგი ტელეფონით დაუკავშირდა თავდაცვის მინისტრს, თენგიზ კიტოვანს და უთხრა, რომ ჩვენ მზად ვიყავით მიგვეღო მონაწილეობა ომში. თენგიზ კიტოვანმა მაშინ განგვიცხადა, რომ მას ერთ კვირაში შეეძლო აფხაზეთის საკითხის მოგვარება.

გოგა ხაინდრავამ იქვე დაურეკა სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს თუ მეთაურს, ედუარდ შევარდნაძეს და უთხრა, რომ კანონიერი ხელისუფლების მომხრეები, ლოთი ქობალიას ხელმძღვანელობით, 15 ათასი კაცის ოდენობით მოდიან საომრად იმ შემთხვევაში, თუ იქნება საერთო ხელმძღვანელობას დაქვემდებარებული შეიარაღებული ფორმირება და, რასაკვირველია, თუ იქნებოდა მისი პირადი თანხმობა. მე ვისმენდი ამ ლაპარაკს - მეორე ყურმილი მეჭირა. ბ-ნმა ედუარდ შევარდნაძემ ამაზე კატეგორიული უარი განუცხადა. მან თქვა, რომ ჩვენ არავითარი მონაწილეობა არ უნდა მიგვეღო, პირიქით, უნდა დაგვეყარა იარაღი და ჩავბარებულიყავით.

ამის შემდეგ, როდესაც ხელმეორედ გაუჭირდათ ფრონტის ხაზზე, ისევ მოვიდნენ საოხოვნელად. ეს უკვე ზამთრის პერიოდი იყო, 1992 წლის დასასრული. რადგანაც ხელისუფლებას არ აწყობდა ჩვენი მონაწილეობა ამ ომში, საჭიროდ ჩავთვალეთ, რომ ისეთი ფორმირება შეგვექმნა, ვითომ ვიყავით ხელისუფლების დაქვემდებარებაში და ამ სახით დაგვეცვა ფრონტის წინა ხაზი. ეს გავაკეთეთ კიდეც, მაგრამ გაგვიგეს და არც საჭმელი მოუწოდებიათ, არც ტყვია-წამალი. სურსათი და საომარი აღჭურვილობა ზუგდიდიდან იგზავნებოდა, შეიარაღებული ფორმირებისთვის წამოვიღე 250 ერთეული ავტომატური იარაღი, რომელიც გოგა ხაინდრავას ვერტმფრენით იქნა გადაგზავნილი სოხუმში.

მათი მხრიდან, ვინც არ იყო მომხრე ამ ბანდიტურ ფორმირებებთან გაერთიანების, იყო სხვა მოთხოვნები. ისინი ითხოვდნენ, რომ მათთვის, როგორც კანონიერი პრეზიდენტის მომხრე შეიარაღებული ძალისთვის, მიეცათ ცალკე სტატუსი, გამოეყოთ ფრონტის ხაზი და ამ შემთხვევაში მიიღებდნენ მონაწილეობას ომში. მაგრამ ხელისუფლებამ ამაზეც უარი განაცხადა.

ყოველივე ამის გამო, საჭირო იყო სათანადო რეაგირება. საჭიროდ ჩავთვალე, ჩავსულიყავი პრეზიდენტთან, რადგან ომი უკვე კატასტროფულ სახეს იძენდა. მე ვთხოვე ბ-ნ გოგა ხაინდრავას, მოეცა ჩვენთვის თვითმფრინავი, რათა გადავფრენილიყავით ქალაქ გროზნოში, სადაც დროებით თავშეფარებული იყო პრეზიდენტი.

პრეზიდენტთან შეხვედრისას მან განმარტა, რომ ეს ომი პროვოცირებული იყო რუსეთის იმპერიის მიერ და მისი მარიონეტი ხელისუფლება საქართველოში აკეთებდა იმას, რაც დავალებული ჰქონდა რუსეთის იმპერიისგან. და თუ ჩვენ მივიღებდით მონაწილეობას ამ საომარ ოპერაციებში, მაშინ რუსეთის არმია მეტ ძალას გამოიყენდა ჩვენს წინააღმდეგ, რათა საბოლოოდ დაეჩოქებინა საქართველო. მან მოგვცა წინადადება, მივსულიყავით ჩეჩნეთის პრეზიდენტთან, ბ-ნ ჯოჰარ დუდაევთან, რადგანაც მას ჰქონდა გარკვეული ავტორიტეტი მთელს კავკასიაში და არა მხოლოდ აფხაზეთში, და მისი ჩარევით, თუ შესაძლებელი იქნებოდა, მიგვეღწია მშვიდობიანი მოლაპარაკებისთვის.

ჩვენ შეეხვდით ჩეჩნეთის პრეზიდენტს და მან განმარტა ყველა ნიუანსი, რაც მოსალოდნელი იყო ამ ომი. იგი სატელეფონო ხაზით დაუკავშირდა არძინბას და სთხოვა ჩვენი დელეგაციის მიღება. მან გამოგვაყოლა თავისი მოადგილე და ჩეჩნეთის უზენაესი საბჭოს რამდენიმე დეპუტატი.

ჩამოვფრინდით სოხუმში. ბ-ნი გოგა ხაინდრავა გაერკვა სიტუაციაში და გვითხრა, რომ აღებული გეზი სწორი იყო, იქვე გამოგვიყო შვეულმფრენი და გადავფრინდით გუდაუთაში. ჩვენს დელეგაციას დაემატა აფხაზეთის უშიშროების სამსახურის თავმჯდომარე, ბ-ნი ავთანდილ იოსელიანი.

გუდაუთაში მეორე მხარესთან უშუალო კავშირი დამყარა ბ-ნმა ავთო როსელიანმა. იქ ჩვენ ჩავფრინდით სამხედრო ბაზაში, ბომბორაში, სადაც დაგხვდნენ აფხაზური ეროვნების წარმომადგენლები, უზენაესი საბჭოს დეპუტატები. მიგვიღეს კულტურულად, ნორმალურად, არავითარ ექსცესებს ადგილი არ ჰქონია.

იმ დროს დადიოდა ჭორი, რომ სტადიონზე იყო დახვრეტილი ხალხი და ქართველების თავებით თამაშობდნენ ფეხბურთს. ამიტომ მოვითხოვეთ იქაურობის დათვალიერება და ამის საშუალება მოგვეცა. ვიყავით გუდაუთასა და გაგრაში, გავედით მოსახლეობაში, ვნახეთ სტადიონი, ყველა ის ობიექტები მოვინახულეთ, რომელსაც მაშინ ასახელებდა ე.წ. სახელმწიფო საბჭოს ტელევიზია. შევხვდით დაჭრილებსაც, ქართულ მოსახლეობასაც. და თქვენ წარმოიდგინეთ, რომ იქ აფხაზებსა და ქართველებს გაცვლილი ჰქონდათ სახლები: აფხაზის სახლში ქართველი იყო შესახლებული და ქართველის სახლში - აფხაზი, რათა ურთიერთდაპირისპირება არ ყოფილიყო და ერთმანეთი შეენახათ.

ვნახეთ აგრეთვე ტყვეები, 45 მეომარი, მათ შორის ადრე ჩემს მიერ დანიშნული ქარელის ბატალიონის მეთაური. გამოვესაუბრეთ და ჩემს შეკითხვაზე, როგორ დააკავეს, როგორ შეიძლებოდა 45 კაცის ასე ერთდროულად აყვანა, მათ გვიპასუხეს: ჩვენ გვეძინა სახლებში და ზოგიერთი "გულაობდაო". ისე შემოსულან აფხაზები, რომ მათ არაფერი გაუგიათ და შეიპყრეს. ტყვეები კარავში ჰყავდათ, იქ ციხის მაგვარი არაფერი იყო.

აფხაზური მხარე დაგვპირდა, რომ გამოგვატანდნენ მათ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს ფაქტობრივი ხელისუფლება გადასცემდა შრომასთან მომხდარი შეტაკებისას დაღუპულ აფხაზთა გვამებს. მე ვუთხარი, რომ ამის პრობლემა არ იქნებოდა. მაგრამ მათ კატეგორიულად დასვეს საკითხი: "ჩვენ შეიძლება მოგცეთ ეს ტყვეები, მაგრამ ასეთი შეხვედრები მრავალჯერ გექნდა ფაქტობრივ ხელისუფლებასთან და არც ერთხელ მათ პირობა არ შეასრულესო. ასე რომ, ცოცხალ ქართველზე ვერ შეეძლითო მკვდარი აფხაზის გაცვლა."

იქ იყო ერთი დაჭრილი ქართველი გვარდიელი, რომელიც ჩვენ გვაჩუქეს და თან წამოვიყვანეთ. მე დავპირდი, რომ შრომაში დაღუპულებს გაკუცვლიდით იქ დარჩენილ ტყვეებზე.

ამ დროს დაიდო სათანადო შეთანხმება ჩვენს დელეგაციასა და აფხაზურ მხარეს შორის. იგი შედგებოდა ხუთი მუხლისგან, რომელსაც აფხაზებმა მოაწერეს ხელი. რა თქმა უნდა, მე ვერ მოვაწერე ხელი, ვინაიდან არ ვიყავი ოფიციალური მთავრობის წარმომადგენელი. ისინი თხოულობდნენ სახელმწიფოს მეთაურის ხელმოწერას.

ტექსტი ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ ზოგადად აღნიშნულ დოკუმენტში მითითებული იყო: ომის შეწყვეტა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, ქართულ-აფხაზური კომისიის ჩამოყალიბება; აგრეთვე დაისვა საკითხი, რომ ჩამდგარიყო სამშვიდობო ძალები. აფხაზური მხარის წინადადებით, ეს უნდა ყოფილიყო რუსეთის ჯარი, მაგრამ ჩვენ ამის კატეგორიული წინააღმდეგნი ვიყავით და შევთავაზეთ, რომ სამშვიდობო ძალა ყოფილიყო კანონიერ ხელისუფლებას დაქვემდებარებული გვარდია. მათ ეს წინადადება მიიღეს და შეთანხმებას ხელი მოაწერეს.

უზენაესი სასამართლო
1 მარტი, 1996 წელი

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ბრალმდებლები შეიძლება არ იზიარებდნენ ბრალდებას?!

1 მარტის სასამართლო სხდომაზე მოსამართლე ალადაშვილმა, ერთ-ერთ განსასჯელთან კამათის დროს, გამოთქვა აზრი, რომ სასამართლოზე წარმოდგენილი სახელმწიფო ბრალმდებლები, შესაძლოა, არც კი იზიარებდნენ ძიების მიერ წარმოდგენილ ბრალდებას. განსასჯელი ნუგზარ მოლოდინაშვილი საგანგებოდ დაინტერესდა ამ საკითხით და ჩაეკითხა მოსამართლეს, რომელმაც უმალ დაუდასტურა: "რა თქმა უნდა, მოისმენენ პროცესს და შემდგომ გამოიტანენ დასკვნას".

პროკურორმა წერეთელმა კი განსასჯელის შეკითხვაზე უპასუხა: "საეროოდ, როცა ბოლომდე მივალთ და შეგვექმნება ჩვენ ჩვენი რწმენა, მაშინ რეალურად ვიტყვით თეორზე თეორს, შავზე შავს." მოლოდინაშვილი კვლავ ჩაეკითხა: "ე.ი. ჯერჯერობით არა გაქვთ აზრი?" და პასუხი კვლავ მოსამართლემ გასცა: "ჯერ როგორ ექნებათ, პროცესი ახლა დაიწყო".

ამ პასუხმა ნუგზარ მოლოდინაშვილის სამართლიანი გაოცება გამოიწვია: "სასამართლოს, ცხადია, არ უნდა ჰქონდეს წინასწარ ჩამოყალიბებული აზრი, მაგრამ სახელმწიფო ბრალმდებელი რომ არ იზიარებდეს წარმოდგენილ ბრალდებას, ეს უცნაურია".

სოსო ჟღენტის საქმე ცალკე განიხილება

29 თებერვლის სხდომაზე სასამართლო კოლეგიამ, განსასჯელ სოსო ჟღენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, რაც, მათი აზრით, იწვევს საქმის განხილვის გაჭიანურებას, ცალკე გამოყო მისი საქმე. მიუხედავად იმისა, რომ სოსო ჟღენტის ფიზიკური მდგომარეობა მართლაც მძიმეა და პროცესის მსვლელობისას იგი სისტემატურად ცუდად ხდებოდა, განსასჯელები და ადვოკატები ამის წინააღმდეგნი იყვნენ. ამასთან, ნუგზარ მოლოდინაშვილმა გამოთქვა აზრი, რომ სოსო ჟღენტის საქმის ცალკე გამოყოფა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის მოტივით, დასაშვები იქნება იმ შემთხვევაში, თუ პროკურატურა არგუმენტირებულად დაასაბუთებს, რომ ეს ხელს არ შეუშლის სამსჯავრო ძიებას. სოსო ჟღენტის დამცველი ნანა ლიპარტია თვლის, რომ რაკი მოხდა სამხედროებისა და პოლიტიკოსების საქმეების გაერთიანება, მაშინ ბოლომდე ამ შემადგენლობით უნდა წარიმართოს სასამართლო ძიება.

ჩემი დანაშაულია, რომ ვერ მოვახერხე კანონიერი ხელისუფლების დაცვა

1 მარტის სასამართლო სხდომაზე სასამართლო კოლეგიამ განიხილა და დააკმაყოფილა საზოგადოებრივი დამცველების წარდგინება. ამდენად, ლოთი ქობალიას ინტერესებს, ადვოკატის გარდა, საზოგადოებრივი დამცველის სახით გამოხატავს თამარ ლომიშვილი, ხოლო ნუგზარ მოლოდინაშვილისას - გიორგი ხოშტარია და ლია ბერუაშვილი.

ამის შემდგომ განიხილებოდა სამსჯავრო ძიების წარმართვის წესი. განსასჯელები და დაცვის მხარე მოითხოვდნენ ჯერ მოწმეები დაეკითხათ. წინაღმდეგ შემთხვევაში, განსასჯელები ჩვენების მიცემაზე უარს აცხადებდნენ. მაგრამ სასამართლო კოლეგიამ, პროკურორისა და დაზარალებულების მოთხოვნის შესაბამისად, გადაწყვიტა ძიება დაეწყო განსასჯელთა დაკითხვით. განსასჯელებმა კატეგორიული უარი თქვეს ჩვენებების მიცემაზე. ამასთან, ოთხივემ განაცხადა, რომ თავს არ ცნობს დამნაშავედ.

" - ჩემი ერთადერთი დანაშაული იმაშია, რომ ჩემს დაქვემდებარებაში მყოფ ნაწილებს უნდა დაეცვათ კანონიერი ხელისუფლება და ეს ვერ მოვახერხე" - განაცხადა ლოთი ქობალიამ.

შემდგომ მან კითხვით მიმართა ბრალმდებლებს: "იყო თუ არა გამართლებული ხელისუფლების ძალისმიერი გადატრიალება და თუ გვაძლევს ამის უფლებას საერთაშორისო სამართალი და ხალხი. მხოლოდ ამის შემდეგ შემიძლია თქვენს შეკითხვებს ვუპასუხო და სხვანირად ვილაპარაკებ. მეორე საკითხი: 1992 წლის 15 თებერვალს გაცემულია ჩემი დაპატიმრების სანქცია. მე მაინტერესებს, რის საფუძველზეა გაცემული ეს სანქცია, რა ბრალდება მქონდა წაყენებული. სანამ მოწმეები არ დაიკითხებიან, მე არ მოგცემთ ჩვენებას."

" - მოწმეები კი არ გდებენ ბრალს, არამედ საბრალდებო დასკვნა, გამოძიება. - უპასუხა მოსამართლე ალადაშვილმა. - სასამართლომ უკვე დაადგინა, რა წესით უნდა წარიმართოს სამსჯავრო გამოძიება და ამაზე კამათი აღარ ღირს."

" - საბრალდებო დასკვნაში ისიც წერია, აბსანძე ფული წაიღო და ე.ი. მოლოდინაშვილმა დაშავა რაღაცაო. ასე ხომ არ ხდება..." - არ ცხრებოდა განსასჯელი. დიდი ხნის ძებნის შემდეგ, ზვიად ძიძიგურის დახმარებით, რომელიც, როგორც ჩანს, პროკურორებზე უკეთ იცნობს საქმის მასალებს, მიაკვლიეს 1992 წლის 15 თებერვლის სანქციას და სასამართლომ აღუთქვა ქობალიას, რომ ძიების მსვლელობისას გაეცემოდა პასუხი მის შეკითხვებს.

სასამართლო შეუდგა ლოთი ქობალიას მიერ წინასწარ ძიებაში მიცემული ჩვენებების გამოქვეყნებას. ამ დოკუმენტებში ასახულია საკმაოდ საინტერესო დეტალები დეკემბერ-იანვრის გადატრიალების წინა პერიოდზე და თვითონ გადატრიალების დაწყების ვითარებაზე. მაგალითად, რკონში დაბანაკებულ კიტოვანთან წარმოებული მოლაპარაკების შესახებ, რომელზეც ეს უკანასკნელი ითხოვდა გვარდიის სტატუსის დადგნას, რაც გაკეთდა კიდეც 26 აგვისტოს უზენაესი საბჭოს სესიაზე. ამის შემდეგ, მოულოდნელად, კიტოვანის სახელით, გელა ლანჩავას განუცხადებია ქობალიასთვის, რომ მათთვის მიუღებელია ეს დადგენილება, ვინაიდან მასში არაფერია ნათქვამი კიტოვანის თავდაცვის მინისტრად დანიშვნის შესახებ.

შემდგომი ჩვენება ეხება 1993 წლის მოვლენებს - აფხაზეთის ომთან დაკავშირებულ და შემოდგომაზე სამეგრელოში შექმნილ ვითარებას. ამ ჩვენების თანახმად, ლოთი ქობალია ესწრებოდა ზვიად გამსახურდიასა და გურამ აბსანძის შეხვედრას აფხაზების წარმომადგენლებთან - ქიშმარიასა და კობახიასთან, რომლებსაც პრეზიდენტი საყვედურობდა გალში აფხაზური ნაწილების შემოყვანის გამო. ეს უკანასკნელნი კი ამბობდნენ, რომ ოთხი საათის განმავლობაში იდგნენ გალის რაიონის საზღვართან, ელოდებოდნენ ქართული მხარის პარლამენტარებს და ამის გამო ვერ შეძლეს შეიარაღებული ფორმირებების დაკავება, ვინაიდან გალში შემოსული ნაწილები მათ არ ემორჩილებოდა. გამსახურდიამ მათ მოსთხოვა გალის ქართული მოსახლეობის დაბრუნება თავის საცხოვრებელ ადგილზე, ხოლო აფხაზების მხრიდან რაიმე სამხედრო დახმარებაზე საუბარი არ ყოფილა. მოგვიანებით ქობალიასთან შეხვედრაში მოსულ გურამ აბსანძეს განუცხადებია, რომ იქნება აფხაზებისგან სამხედრო დახმარება. სწორედ ამის შემდეგ ლოთი ქობალია, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასთან შეუთანხმებლად, შეხვდა ფაქტობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს - კუკური როგავასა და ვახტანგ გვარამიას, რომლებსაც აღუთქვა, რომ გაიყვანდა პოლიტიკოსებს სამეგრელოდან, თუ არ მოხდებოდა რეგიონის დარბევა.

ლოთი ქობალიამ სასამართლოს წინაშე დაადასტურა ორივე შეხვედრის ფაქტი, მაგრამ განაცხადა, რომ არ ეთანხმება მათში დაფიქსირებულ რიგ მოვლენებს, ფორმულირებებს, რაზეც ცალკე მისცემს განმარტებას.

" - იქ როგორც წერია, ასე არ იყო. ბევრი რამე არც ჩაუწერიათ. ბალუაშვილმა მითხრა, შენ რაც გინდა, ის სასამართლოზე თქვიო. მე ძიებაში შევარდნაძეზეც კი მივეცი ჩვენება, მაგრამ ბალუაშვილმა არც ეს ჩადო საქმეში."

შემდგომ მან მისცა ვრცელი განმარტება წინასწარ ძიებაში მიცემული ზემოხსნებული ჩვენებების თაობაზე. ასე რომ, ფაქტობრივად, სასამართლომ მოახერხა გამოუძალა ჩვენება ლოთი ქობალიასთვის.

გვერდი მოამზადეს
ს. გურამიშვილმა და
მ. ტუსიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადვოკატ თემურ გოძსაძის დაცვითი სიტყვა

(დასასრული. დასაწყისი იხ. "თავისუფალი საქართველო", №6)

შემდეგი ბრალდება გახლავთ ის, რომ პრეზიდენტის მომხრეებმა და, მათ შორის ზაურ ქობალიამ, არ მისცეს საშუალება ლტოლვილებს შემოსულიყვნენ ზუგდიდსა და მის რაიონში. ელემენტარული არითმეტიკაც საკმარისია, რაია დამტკიცდეს ამ ბრალდების უსუსურობა. ცნობილი ფაქტია და მას სადავოდ ვერავინ გახდის, რომ პირველ დღეებში 100 000-ზე მეტი ლტოლვილი იყო მარტო ზუგდიდის რაიონში და ჯვარი-შესტიდან ორგანიზებულად ხდებოდა მათი გადმოყვანა, რისთვისაც გამოყოფილი იყო სპეციალური ტრანსპორტი.

ელემენტარულ გეოგრაფიასაც თუ მოვიშველიებთ, ნათელი ხდება, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც კოდორის მხარე, ოჩამჩირე-გალი აღებულია, ბუნებრივია, ერთადერთი გზა რჩება, სწორედ ის სისხლიანი გზა, რომელსაც ეს გაუბედურებული ხალხი გაუყენეს.

კიდევ ერთი საკითხი: იყვნენ თუ არა შემოყვანილი აფხაზი ბოევიკები, დაქირავებულები და ა.შ. სახელმწიფო ბრალდება თვლის, რომ იყვნენ. მართლაც, ძნელია ამტკიცო, რომ ამგვარ ფაქტს საკუთრებული ვითარება, ხალხს, ერს აქვს უფლება, თავდაცვის მიზნით, ხელი მოჰკიდოს იარაღს. მით უმეტეს, რომ იარაღი პირველად ხელში აიღო მან, ვინც დასაბამი დაუდო იარაღით ხელისუფლების დამხობის პრეცედენტს.

სხვათა შორის, არსებობს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ბრძანება უშუალოდ ლოთი ქობალიას მისამართით, სადაც ნათქვამია - ვინაიდან საქართველოში არის ტერორიზმი, ყაჩაღობები და ა.შ., გვარდიასთან შეიქმნას სპეციალური ჯგუფი ტერორიზმთან ბრძოლისთვის. ამის შესახებ, ალბათ, თვითონ იტყვის ლოთი ქობალია.

გამოძიების მიერ უხენაესი საბჭო, უკანონო სესიების ჩატარების გამო, ფაქტიურად, მონათლულია ბანდიტურ ორგანიზაციად. ეს, გარდა უკანონობისა, ქართველი ხალხის ნების აბუჩად აგდებაა, ვინაიდან არ შეიძლება ნებისმიერი ორგანო, რომელიც ხალხმა აირჩია, გამოაცხადო ბანდიტურ ორგანიზაციად. მაშინ ჩვენ ყველა, ვინც ხმა მისცა იმ ხელისუფლებას, ბანდიტური ჯგუფის ორგანიზებისთვის უნდა გაგვასამართლონ. ეს ერთი აბსურდი. მეორე: სესია არ შეიძლება იყოს უკანონო. ჩემთვის საეროოდ გაუგებარია ასეთი ფორმულირება - უკანონო სესია. მესამე: მოქმედი კანონმდებლობის, კონსტიტუციის შესაბამისად, არავის გაუუქმებია უხენაესი საბჭო, მას თავად არ გამოუცხადებია გადადგომის ან თვითლიკვიდაციის შესახებ, არ გასულა მისი უფლებამოსილების ვადა. ერთი სიტყვით, არ ჩატარებულა ის პროცედურა, რომლის ძალითაც იგი შეწყვეტდა არსებობას.

* * *

გამოძიებას სურს ბრალდების განმტკიცება ლოთი ქობალიას შეიარაღებული ორგანიზაციის მოქმედებების ფონზე. მე ძალიან ფაქიზად და ფრთხილად მოვეკიდები ამ საკითხს, ვინაიდან მიმდინარეობს სასამართლო პროცესი.

მართალია, ჩვენ ვერ დავკითხეთ თვითონ ლოთი ქობალია, მაგრამ მან სასამართლო კოლეგიას გამოუგზავნა წერილობითი დოკუმენტი, რომელშიც ამბობს, რომ შეიარაღებული ძალების ფორმირება-მოქმედებებში ზაურ ქობალიას არავითარი მონაწილეობა არ მიუღია.

თავის მხრივ, ლოთი ქობალია აცხადებს, რომ იგი არის საქართველოს კანონიერი ხელისუფლების ეროვნული გვარდიის სამმართველოს უფროსი. გვარდია თავისთავად არის შეიარაღებული ორგანიზაცია და, აქედან გამომდინარე, არ შეიძლება ლაპარაკი იყოს რაიმე შეიარაღებული ორგანიზაციის სპეციალურად, განზრახ შექმნაზე. გვარდია არის სახელმწიფო შეიარაღებული სტრუქტურის აუცილებელი ნაწილი. რა თქმა უნდა, იგი ექვემდებარება უზენაეს საბჭოს, მის პრეზიდიუმს და პრეზიდენტს, რომელიც ხალხის მიერაა არჩეული. აქ არ შეიძლება იყოს რაიმე კოლიზია კანონთან მიმართებაში, ვინაიდან არ შეიძლება უკანონოდ, შეიარაღებულ ბანდად გამოცხადდეს, ან ამ ნიშნით დამნაშავედ იქნეს მიჩნეული და დაისაჯოს ეროვნული გვარდიის მთავარი სამმართველო. კონკრეტული მოქმედებები, რომლებსაც შემდგომ ჰქონდა ადგილი, იყო იმ ხელისუფლების პრინციპი და, ბუნებრივია, თუ მას იარაღით უპირისპირდებიან, ალბათ, მისი გადასაწყვეტია, იარაღის ძალით გადჭრის საკითხს, თუ სხვა გზით.

* * *

სასამართლო გამოძიებისას გაირკვა, რომ კანონიერების აღდგენა და სხვადასხვა ქალაქებში შესვლა, რასაც ბრალად სდებს გამოძიება გამსახურდიასა და მის მომხრეებს, ფაქტიურად, ხალხის ნებითაც ხდებოდა. აქ დაიკითხა ფოთის ყოფილი გამგებელი რომან მელია. თავის დროზე ყბადღებით მიმდინარეობდა ინფორმაციული ომი, რომ იკეტება რკინიგზა, ჩაკეტილია ფოთის მისასვლელები და ა.შ. ეს ჰბრალდებოდა და დღესაც ჰბრალდება ლოთი ქობალიას შენაერთებს. მე მინდა გაგახსენოთ თვითონ მელიას განცხადება, რომ ეს ტყუილია, რკინიგზის არვითარი ბლოკირება არ მომხდარა. აქვე შეგახსენებთ, რომ არსებობს გაზეთ "ფოთის მოამბე"-ში გამოქვეყნებული რომან მელიას ბრძანება იმის თაობაზე, რომ აკრძალულია ქალაქში ყოველგვარი - სარკინიგზო, საავტომობილო - ტრანსპორტის შესვლა-გამოსვლა. მე ვსვამ კითხვას - ვის აწყოდა ეს?

არ ვეხები ბანკების დაყაჩაღების, ფულის გატანის ფაქტებს, ვინაიდან ზაურ ქობალიას მათთან არანაირი შეხება არა აქვს. მთელ რიგ შემთხვევებში ეს გახლავთ დაუზუსტებელი, დაუდგენელი ფაქტები. ამდენად, მათი გამოყენება კონკრეტულად ზაურ ქობალიასთან მიმართებაში უმართებულია

* * *

თავდაცვის აუცილებლობის შექმნა განაპირობა დასავლეთის რეგიონის რამდენჯერმე დალაშქვრამ და ამას სისასტიკის, დაუნდობლობის ელფერი დაჰკრავდა. ხალხის მხრიდან იყო საწინააღმდეგო რეაქცია - დაეცვა საკუთარი თავი, ოჯახი. როცა ერთ მხარეზე კლაპარაკობთ და ვაფასებთ იმ პერიოდში მომხდარ ფაქტებს, ბუნებრივი იქნებოდა ასეთივე გულისტკივილი გამოეწვია თქვენში წალენჯიხაში და სხვაგან მომხდარ დანაშაულობებს. ჩვენ აქ ამის ამსახველი ვიდეოფირიც ვაჩვენეთ. სხვათა შორის, ამ ფაქტებზეც არის სისხლის სამართლის საქმეები აღძრული და ამასთან დაკავშირებით პროკურატურაშიც მოიძიება მასალები. კარგი იქნებოდა, ისინიც ჩაგვდოთ ამ საქმეში. მე მტკივა როგორც ჟურნალისტ ბოლქვაძის სიკვდილი, ასევე იმ მხატვრის, ვახტანგ ნოდიასი, რომელსაც ხელ-ფეხი მოკვეთეს ერთი ნახატის გამო.

* * *

ზაურ ქობალია არსად წასვლას არ აპირებდა და იარაღით არასოდეს ყოფილა. ნახეთ მისი დაკავების ოქმი, მისი აყვანის პროცედურა: ერთდროულად ამდენი შეიარაღებული პირი და ასე ორგანიზებული, ცოტა ხნით მაინც, რომ დადგომოდა გაღლა და ოჩამჩირეს, ალბათ, დიდხანს შეაფერხებდა მტრის შემოსვლას. იმ პერიოდში, ფაქტიურად, მთელი მისი ოჯახი ტერორიზებული იყო და ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას განიცდიდა. უფლება არა მაქვს არ ვთქვა ისიც, რომ მთელი ერთი წლის განმავლობაში ზაურ ქობალიას რეალური დაცვა არ ჰქონია.

იმედი გვაქვს უზენაესი სასამართლოს კოლეგიის ობიექტურობის, კანონიერების, რომ ყველა დეტალს, ყველა ფაქტს, ყველა მოვლენას, შესაბამის ობიექტურ, კანონიერ და, რაც მთავარია, სამართლიან შეფასებას მისცემს; ხოლო უშუალოდ ზაურ ქობალიას მიმართ, მის ქმედებებში დანაშაულის დამადასტურებელი მტკიცებულებების არარსებობის გამო, გამოიტანს გამამართლებელ განაჩენს და გაათავისუფლებს სასამართლო დარბაზიდან. ამას მოითხოვს სამართლიანობა, ვინაიდან ჩვენი დიდი სჯულმდებლის ვახტანგ მეექვსის სიტყვებით რომ ვთქვათ:

"უსამართლობა ამა სოფელს უსჯულოებას მოუტანს და ქვეყანას აოხრებს, ცანი ცვარს დააკლებენ და მიწანი ნაყოფს კეთილს, უსჯულოებას დაამკვიდრებს და უზნეობის მორევში ჩაკლავს, დღეთა სიგრძეობას მოუკლებს და იმ ქვეყნად სასუფეველს არ დაუმკვიდრებს."

მინდა მადლობა გითხრათ ყურადღებისთვის და გისურვოთ, რომ ღმერთმა მოგცეთ ძალა ამ საქმის მართლად გადაწყვეტისა.

უზენაესი სასამართლო
20 თებერვალი, 1996 წელი

მე უფალმა მომისაჯა სამშობლოს თავისუფლებისთვის ბრძოლა

ადგილი არ ჰქონია, რადგან არსებობენ მოწმეები. მაგრამ მე სრულიად სხვა რამეს ვამტკიცებ - ზაურ ქობალიას კავშირი უშუალოდ ამ ფაქტთან არ დგინდება. ამასთან, მინდა გავაანალიზო სასამართლო გამოძიების დროს ნათქვამი და შემდგომ ვიდეომასალით წარმოდგენილი ვითარება. ხომ არ იყო ამ შემოყვანილი ნაწილების უშუალო მიზანი ის, რომ შემდგომ სალაპარაკო გამხდარიყო, თუ ვისთან ჰქონდათ კავშირი? გაიხსენეთ მოწმეების ჩვენებები - საბრძოლო მასალებით დატვირთული კამაზი მიიყვანეს სენაკამდე და ისევ უკან წაიყვანეს, არც გადმოუტვირთავთ. მოწმეების ჩვენებებიდან გამომდინარე, მათ არც რაიმე სერიოზული ბრძოლებში მიუღიათ მონაწილეობა და, ფაქტიურად, რაღაც ერთსაათიანი დემარშით დამთავრდა ყველაფერი. ვფიქრობ, ეს წინასწარ გამიზნული მოქმედება გახლდათ. მე ვთვლი, ვინც ეს გააკეთა, რა თქმა უნდა, გამსახურდიას ხელისუფლების დისკრედიტაცია უნდოდა და, საერთოდ, მთლიანად სიტუაციის სხვა რაკურსში წარმოდგენა.

სახელმწიფო ბრალმდებლის სიტყვაში გამოკრთა, რომ სამეგრელოს ტერიტორიაზე იმ დროს დაიჭრნენ რუსეთის არმიის მებრძოლები, თუ არ ვცდები - პოპოვი, ბორისოვი, ლიტვინენკო, ზუბრიკი, ბარილა სტანისლავ ეგოროვიჩ, პეტრ პაველ ალექსანდროვიჩ, ჩერნეკ ზახარ ვიქტოროვიჩ, ბაიბაკ ვალერი შალვოვიჩ, შირინიანც ლეონ არტუროვიჩ და ა.შ. ბუნებრივია, როგორც ქართველი კაცი, ვფიქრობ მათ, ვინც ქართველების ჩასახოცად შემოყვანა აფხაზები, თუ ეს მართლაც მოხდა. ასევე არ შემიძლია არ დავგმო ის, ვინც ეს სეცერაზმები შემოიყვანა და საომარ კონფლიქტში ჩაბა. თუ საბრძოლო მოქმედებებში არ ჩაბმულან, მაშინ რატომ დაიჭრნენ ან დაიღუპნენ ეს პიროვნებები. საინტერესოა, ვისი მოქალაქეები არიან და რა უნდოდათ იქ იმ დროს, როცა, ფაქტიურად, მთელმა მსოფლიომ იცოდა, რაც ხდებოდა დასავლეთ საქართველოში? რომელ საწვრთნელ დემარშებზე შეიძლებოდა იმ პერიოდში ლაპარაკი?

* * *

ზაურ ქობალიას, საბრალდებო დასკვნის მიხედვით, ბრალი ედება შეიარაღებული ბანდების ორგანიზებაში, სახელმწიფო ან სხვა საწარმოებზე, დაწესებულებებზე, ორგანიზაციებზე, ან ცალკეულ პირებზე თავდასხმის მიზნით, აგრეთვე ასეთ ბანდაში და მის მიერ მოწყობილ თავდასხმაში მონაწილეობა. არც წინასწარი გამოძიების სტადიაზე და არც სასამართლო გამოძიებისას არ დადასტურდა აღნიშნული ბრალდება.

გამომდინარე იმ ვითარებიდან, რომელიც დეკემბერ-იანვრის შემდეგ ჩამოყალიბდა, საქართველოს გარკვეულ ტერიტორიებზე მართლაც მოხდა ყაჩაღობები, მკვლელობები, გაუპატიურებები, სოფლების გადაწვა და ა.შ. მაგრამ აღნიშნული საკითხები ცალკე, დამოუკიდებელი სისხლის სამართლის საქმეებიდან გახლავთ და მათ საფუძველზე ზაურ ქობალიასთვის გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა არ იქნება მართებული.

მინდა აქვე მოვიშველიო საქართველოს პრეზიდენტის 1992 წლის მარტის მიმართვა:

"ჩვენ მხოლოდ იმით განვსხვავდებით "დემოკრატიული ოპოზიციისგან", რომ ვირჩევთ მიზნის მიღწევის რთულ, მაგრამ მშვიდობიან გზას. თუმცა კარგად გვესმის საქართველოს მოსახლეობის იმ ნაწილისა, რომელმაც ვეღარ გაუძლო თავს დამტყდარ უბედურებას, სახლ-კარის აოხრებას, ახლობელთა სიკვდილს, მასიურ დარბევებს, თვალწინ დედების, დების, შვილების გაუპატიურებებს და მხოლოდ თავდაცვის მიზნით მოჰკიდა ხელი იარაღს. ამის გამო, საქართველოს წინააღმდეგობის მოძრაობა თავდაცვითი, სამართლიანი მოძრაობაა. ხალხს აქვს უფლება შექმნას ამგვარი მოძრაობის ერთიანი ფრონტი, რათა დაიცვას თავი, დაიცვას ქვეყანა, დაიცვას მის მიერ არჩეული კანონიერი ხელისუფლება."

ეფიქრობ, ამ პოზიციის საწინააღმდეგო არაფერი შეიძლება გვქონდეს, განსაკუთრებით ჩვენ, ვინაიდან პროფესიონალები ვართ და მოგვეხსენება, რომ საერთაშორისო სამართლით, როდესაც იქმნება განებლობის, კონსტიტუციის შესაბამისად, არავის გაუუქმებია უხენაესი საბჭო, მას თავად არ გამოუცხადებია გადადგომის ან თვითლიკვიდაციის შესახებ, არ გასულა მისი უფლებამოსილების ვადა. ერთი სიტყვით, არ ჩატარებულა ის პროცედურა, რომლის ძალითაც იგი შეწყვეტდა არსებობას.

* * *

გამოძიებას სურს ბრალდების განმტკიცება ლოთი ქობალიას შეიარაღებული ორგანიზაციის მოქმედებების ფონზე. მე ძალიან ფაქიზად და ფრთხილად მოვეკიდები ამ საკითხს, ვინაიდან მიმდინარეობს სასამართლო პროცესი.

მართალია, ჩვენ ვერ დავკითხეთ თვითონ ლოთი ქობალია, მაგრამ მან სასამართლო კოლეგიას გამოუგზავნა წერილობითი დოკუმენტი, რომელშიც ამბობს, რომ შეიარაღებული ძალების ფორმირება-მოქმედებებში ზაურ ქობალიას არავითარი მონაწილეობა არ მიუღია.

თავის მხრივ, ლოთი ქობალია აცხადებს, რომ იგი არის საქართველოს კანონიერი ხელისუფლების ეროვნული გვარდიის სამმართველოს უფროსი. გვარდია თავისთავად არის შეიარაღებული ორგანიზაცია და, აქედან გამომდინარე, არ შეიძლება ლაპარაკი იყოს რაიმე შეიარაღებული ორგანიზაციის სპეციალურად, განზრახ შექმნაზე. გვარდია არის სახელმწიფო შეიარაღებული სტრუქტურის აუცილებელი ნაწილი. რა თქმა უნდა, იგი ექვემდებარება უზენაეს საბჭოს, მის პრეზიდიუმს და პრეზიდენტს, რომელიც ხალხის მიერაა არჩეული. აქ არ შეიძლება იყოს რაიმე კოლიზია კანონთან მიმართებაში, ვინაიდან არ შეიძლება უკანონოდ, შეიარაღებულ ბანდად გამოცხადდეს, ან ამ ნიშნით დამნაშავედ იქნეს მიჩნეული და დაისაჯოს ეროვნული გვარდიის მთავარი სამმართველო. კონკრეტული მოქმედებები, რომლებსაც შემდგომ ჰქონდა ადგილი, იყო იმ ხელისუფლების პრინციპი და, ბუნებრივია, თუ მას იარაღით უპირისპირდებიან, ალბათ, მისი გადასაწყვეტია, იარაღის ძალით გადჭრის საკითხს, თუ სხვა გზით.

* * *

სასამართლო გამოძიებისას გაირკვა, რომ კანონიერების აღდგენა და სხვადასხვა ქალაქებში შესვლა, რასაც ბრალად სდებს გამოძიება გამსახურდიასა და მის მომხრეებს, ფაქტიურად, ხალხის ნებითაც ხდებოდა. აქ დაიკითხა ფოთის ყოფილი გამგებელი რომან მელია. თავის დროზე ყბადღებით მიმდინარეობდა ინფორმაციული ომი, რომ

4 მარტს უზენაესი სასამართლოს კოლეგიამ, მოსამართლე ლერი საყვარელიძის თავმჯდომარეობით, განაჩენი გამოუტანა საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრს ზაურ ქობალიას. მას მიესაჯა 13 წლით თავისუფლების აღკვეთა მკაცრი რეჟიმის კოლონიაში მოხდით და ქონების კონფისკაციით.

პოლიტპატიმრები შერთდებიან პეტიციას

გთხოვთ, გამოაქვეყნოთ თქვენს გაზეთში, რომ ავჭალის კოლონიის პოლიტპატიმრები უერთდებიან პეტიციას რუსეთის ჯარების საქართველოდან, ჩეჩნეთიდან და კავკასიიდან გაყვანის შესახებ.

ვალტერ შურღაია, გედევან გელბახიანი, ვიქტორ დომუხოვსკი, ნემო ჭანტურია, ზურაბ ბარძიმაშვილი, მამუკა აფციაური, ზურაბ გოგიჩაშვილი, თეიმურაზ კაპანაძე, გოჩა მახვილაძე, გელა მჭედლიშვილი, სერგო ხახვიაშვილი, გივი კალმახელიძე, რამაზ ჩარიგოგდიშვილი, დავით ტალაშვილი, ბორის მჭედლიძე, გოდერძი ჯოჯიშვილი, იოსებ კუპრავა, ომარ ღულუნიშვილი, მურმან ჯინჭარაძე, ბადრი ოქროპირიძე.

პეტიციას შეუერთდნენ აგრეთვე პოლიტპატიმრები: **ზაზა წიკლაური, რამაზ ვანიშვილი**

"საბრალდებო დასკვნის" სტილის ერთი თავისებურება

ისევე, როგორც ყველა ტექსტს, თურმე, სასამართლო პროცესზე წაკითხულ მშრალ საბრალდებო დასკვნასაც შეიძლება ჰქონდეს თავისი სტილი. ეს განსაკუთრებით გამოიკვეთა ამჟამად მიმდინარე "ლოთი ქობალიას საქმის" საბრალდებო დასკვნის საპროცესო კითხვის დროს.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ საბრალდებო დასკვნის სტილი და შინაარსი იმდენად ნაცნობი და ახლობელი აღმოჩნდა დამსწრე საზოგადოებისთვის, რომ მისი მოსმენის ენთუზიაზმი ერთგვარად დაიკარგა. არადა, აშკარაა, რომ საბრალდებო დასკვნის ავტორი პროცესიდან პროცესამდე შემოქმედებითად განსაკუთრებით სწრაფად იზრდება.

თუ "ყვარლის საქმისა" და"ზიქოვანის ჭუჩის საქმის" საბრალდებო დასკვნები მშრალი (თუმცა დაუზუსტებელი) ფაქტების მძივივით აკინძულ ნუსხას წარმოადგენდა, ამჟამად მიმდინარე სასამართლო საქმეების საბრალდებო დასკვნები ერთგვარად გასცილდა კანცელარულ ღირებულებებს და, თამამად შეიძლება ითქვას, რომ მას ლიტერატურულობის პრეტენზია გაუჩნდა.

ამ უბადლო კალმოსნობის ნიმუშს მისი წინამორბედებისგან აშკარად მიჯნავს საგანგებოდ დამუშავებული ექსპრესიული პასაჟები, მსჯავრდებულების მიერ გაჩანაგებული და დანგრეული ქალაქების პეიზაჟების აღწერა, მხატვრულად გაფორმებული დეტექტიური სიუჟეტები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მხატვრული სტილის ეს თავისებურებანი ისეთ ქაოსსა და ბუნდოვანებას ანიჭებს საბრალდებო დასკვნის ტექსტს, რომ თვით სტილის დიდ ექსპერიმენტატორებსაც კი შეშურდებოდათ ამგვარი შემოქმედებითი გამარჯვება.

და მაინც, ამ ქაოსსა და ბუნდოვანებაში სრულიად მკაფიოდ იკვეთება "საბრალდებო დასკვნის" სტილის ერთი თავისებურება. ეს გახლავთ კონკრეტული თემით ჟონგლიორობის საგანგებო მეთოდი, რათა უფრო სარწმუნო გახდეს ის, რისიც არც მკითხველს და არც თვით ავტორს არ სჯერათ.

საბრალდებო დასკვნის თითქმის ყველა პასაჟი ასეთი ბრალდებებით იწყება: ექს-პრეზიდენტმა შექმნა უკანონო შეიარაღებული ბანდები (თურმე, კანონიერი ბანდაც არსებობს და მას სახელმწიფოს სათავეში მოსვლის შანსიც გააჩნია) და ხელისუფლების ხელში ჩაგდების, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაშლის, საქართველოს სახელმწიფოებრიობის რღვევის მიზნით, მოინდომა კანონიერი ხელისუფლების დამხობა, რომელიც სახელმწიფოს სათავეში, თურმე, დემოკრატიული გზით მოსულა.

აღსანიშნავია, რომ ამგვარ პასაჟებს ნაფიცი მსაჯულები განსაკუთრებული ექსპრესიულობით კითხულობენ, რათა დამსწრე საზოგადოებაზე შესაბამისი შთაბეჭდილება მოახდინონ. ამ დროს დარბაზის რეაქცია არაერთგვაროვანია. "დაზარალებულნი" ვიშვიშებენ, ხოლო დამსწრე საზოგადოება გულიანად იცინის, რასაც მოჰყვება ხოლმე მოსამართლის გულისწყრომა, რომელსაც ღმად სწამს, რომ კანონიერების სამსახურშია ჩამდგარი.

მიმდინარე სასამართლო პროცესები რომ უკანონოა, არაერთხელ აღინიშნა. მსჯავრდებულების პოლიტიკურ განცხადებებში ეს დეტალურადაა დასაბუთებული. ამის საპასუხოდ, პროკურატურასა და სასამართლოს გამუდმებით უხდება თავის მართლება და იმის უსასრულოდ გამეორება, რომ ისინი კანონიერად მოვიდნენ სახელმწიფოს სათავეში და ახლაც კანონიერების გამარჯვებისთვის იღვწიან. მაგრამ რამდენიც არ უნდა იმახოს არსებულმა ხელისუფლებამ კანონიერი ვარო, რამდენი არჩევნებიც არ უნდა ჩაატაროს, ხუნტა მაინც ხუნტად დარჩება.

ხუნტის თვითდამკვიდრების განუზომელი სურვილი აისახება საგანგებოდ შეთითხნილ საბრალდებო დასკვნაშიც, სადაც კანონიერების პრეტენზიით აღჭურვილი პროკურატურა ბრალს სდებს იარაღით დამხობილი ხელისუფლების წარმომადგენლებს იმ დანაშაულობებში, რომელიც ერის და ქვეყნის წინაშე თვითონვე ჩაიდინა.

საბრალდებო დასკვნის მიხედვით ისიც კარგად ჩანს, რომ პოლიტპატიმართა ბედი წინასწარვე გადაწყვეტილია და სასამართლო პროცესიც მხოლოდ და მხოლოდ ფიქცია. ამიტომ მიმდინარეობს იგი ყოველგვარი ინტერესისა და აუიოტაუის გარეშე და ჩაბნელებულ სასამართლო დარბაზშიც გამოცოცხლება მხოლოდ უეცრად მოსულ ელექტროენერგიას შემოაქვს.

ჟ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი მეორე

ორი სულიერი ძმა

(გაგრძელება)

ზვიად გამსახურდიამ 60-იან წლებში დამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რომანულ-გერმანიკული ენების ფაკულტეტი. მიიღო ანგლისტიკის დოცენტის წოდება. ის იკვლევდა და თარგმნიდა უიტმენს,რობინსონს, ფროსტსა და სხვებს. ამავე პერიოდში ქართულ ენაზე თარგმნა ოსკარ უაილდის და შექსპირის თხზულებები.

მერაბ კოსტავა გახდა მუსიკალური სკოლის მასწავლებელი. მუსიკა მეგობრების საერთო ინტერესთა სფეროს განეკუთვნებოდა. "შერაბი ჩინებული პიანისტი იყო", - იტყვის ზვიადი მოგვიანებით, - "შშვენიერად ასრულებდა გრიგს, ბეთჰოვენს და შუბერტს. ბეთჰოვენის და ვაგნერის გმირული მუსიკა იყო იმჟამად ჩვენი სტიქია".

ორივე დიდ ყურადღებას უთმობდა სიტყვის ხელოვნებას. თავადაც ქმნიდნენ პოეტურ ნაწარმოებებს, თუმცა პუბლიკაციაზე არ უფიქრიათ. ეს იყო მათი სულიერი ძიების, პოეზიაში თვითდამკვიდრების პროცესი.

60-იან და 70-იან წლებში ზვიად გამსახურდიამ წაიოწყო ლიტერატურული პოლემიკა ზოგიერთ მის თანამედროვე მწერალთან და კრიტიკოსთან. დამაჯერებლობა, სიცხადე აზრისა და ლოგიკა, რომლითაც ის ამ პოლემიკას წარმართავდა, გამაცოცხლებელ ნაკადად შთაიღვარა საბჭოურ-სოციალისტური კულტურის უდაბნოეთში. იგი მოხდენილად იცავდა თავის ენობრივი პოზიციის სისწორეს და ხმამაღლა აცხადებდა, რომ მსოფლიოს მასშტაბით, ქართული კულტურა უპრეცედენტო მოვლენაა და სიყალბეა, თითქოს რაიმე თვალსაზრისით იგი არასრულფასოვანი იყოს. ნუ დაგვიწყდება, რომ იმ ხანებში, მატერიალიზმისა და ათეიზმის პროპაგანდის კვალად, ქართველ ხალხში ფართოდ ინერგებოდა ეროვნული არასრულფასოვნების განცდაც. მაგრამ რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ზვიად გამსახურდია თავის ლიტერატურულ წერილებსა და ესეებში, ცენზურის მიუხედავად, ყოველთვის ახერხებდა ელაპარაკა უმთავრესზე, ყველაზე არსებითზე; რაც რუსთველური, გურამიშვილისეული, ვაჟასეულია.

სადაც ლიტერატურის ეროვნული ტრადიცია დავიწყებას ეძლევა, იქ იწყება შემოქმედებითი კვლომა და გადაგვარება. ზვიად გამსახურდია იმჟამად მიიჩნევდა, რომ თანამედროვე ქართველ მწერალთა დიდი უმრავლესობა მოწყდა ეროვნულ საფუძველს. იგი მწერალთა კავშირს ადარებდა ჭირისუფლებს, რომლებიც გლოვობენ მიცვალებულს. ეს მიცვალებული ქართული ლიტერატურაა. უცებ ოთახში შემოფრინდება ბუზი. ჭირისუფალთ ავიწყდებათ მიცვალებული და იწყებენ მსჯელობას ამ ბუზზე: როგორი ფრთები აქვს, რა ფერისაა და ა.შ.

თარგმნა თამარ იაშვილმა

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული გვარდია ერთგულია ღვთისა, ერის, პრეზიდენტის წინაშე დადებული ფიცის

21 თებერვლის სასამართლო სხდომაზე ჯამბულ ბოკუჩავა სამხედრო ფორმაში წარსდგა და საშობლოს ღალატში ბრალდებული ეროვნული გვარდიის ხელმძღვანელობის სახელით წაიკითხა განცხადება

1990 წლის 28 ოქტომბერს, მრავალპარტიული, საყოველთაო-სახალხო, დემოკრატიული წესით, საქართველოში არჩეულ იქნა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, ხოლო 1991 წლის 26 მაისს საქართველოს რესპუბლიკის პირველ პრეზიდენტად არჩეულ იქნა ბ-ნი ზვიად გამსახურდია. პრეზიდენტისა და უზენაესი საბჭოს ერთობლივი ძალისხმევით, ჩამოყალიბდა საქართველოს ეროვნული გვარდია, დაიწყო რუსეთის შეიარაღებული ნაწილებისგან ქვეყნის დოკუპაციის პროცესი (აღნიშნულ სამხედრო ნაწილებს მიენიჭა საოკუპაციო ჯარის სტატუსი). 1991-1992 წლების მიჯნაზე რუსეთის მმართველი წრეების მიერ საქართველოში განხორციელებულ იქნა სამხედრო გადატრიალება.

საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით (რომელიც ამავე დროს გახლდათ შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი), დასავლეთ საქართველოში, კერძოდ ქ. ზუგდიდში, აღდგენილ იქნა ეროვნული გვარდიის მთავარი სამმართველო, სადაც იგი აგრძელებდა თავის ფუნქციონირებას: იცავდა მოსახლეობას შეიარაღებული კრიმინალურ-მაფიოზური დაჯგუფებებისგან, სანტრასპორტო და სარკინიგზო მაგისტრალებს ფაქტობრივი ხელისუფლების შეიარაღებული ფორმირებების თავდასხმებისგან.

აფხაზეთში, რუსეთის მიერ პროვოცირებულ ომში, საქართველოს ეროვნული გვარდია აქტიურ მონაწილეობას იღებდა საომარ მოქმედებებში, რამაც, დღევანდელი ხელისუფლების კაპიტულანტური პოლიტიკის ფონზე, მნიშვნელოვანწილად განაპირობა აფხაზეთის, ამ ძირძველი ქართული კუთხის შენარჩუნება წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში.

უკანონო ხელისუფლებას და რუსეთის პირდაპირ აგრესიას საქართველოს კანონიერმა ხელისუფლებამ დაუპირისპირა საყოველთაო-სამოქალაქო დაუმორჩილებლობა და 1993 წელს დასავლეთ საქართველოში აღადგინა კონსტიტუციური წესრიგი, რასაც მოჰყვა პირდაპირი სამხედრო აგრესია რუსეთის მხრიდან. ფაქტობრივად, მოხდა საქართველოს ხელახალი ოკუპაცია, რომელშიც მონაწილეობდა ადმირალ ბალტინისა და გენერალ პოტაპოვის სპეციალური დანიშნულების ნაწილები. სისხლის სამართლის № 7495927 საქმის - ლოთი ქობალიასა და სხვათა მიმართ - მასალებიდანაც ჩანს, რომ რუსეთის შეიარღებული ნაწილები აშკარად, დაუფარავად ახორციელებდნენ სამხედრო ოპერაციებს დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე.

საქართველოს კანონიერი ხელისუფლების ერთგული ეროვნული გვარდია აღმოჩნდა რუსეთის უზარმაზარი სამხედრო მანქანის პირისპირ. ამ უთანასწორო ბრძოლას შეეწირა საქართველოს პირველი პრეზიდენტი, უმაღლესი მთავარსარდალი, ბ-ნი ზვიად გამსახურდია, აგრეთვე ეროვნული გვარდიის ასობით ოფიცერი და ჯარისკაცი. ეროვნული გვარდიის დამარცხების საკალაო შედეგები დღეს სახეზეა: საქართველოში ისევ განლაგებულია საოკუპაციო ჯარები, ჩრდილო-დასავლეთით საქართველოს სახეზარი გადის მდ. ენგურზე, საქართველოს სახეზარს "იცავენ" რუსი ჯარისკაცები, დაიკარგა ქვეყნის ტერიტორიის მეოთხედი და 300 000 ადამიანი ლტოლვილია თავის ქვეყანაში, საქართველოს სახით კავკასიაში შეიქმნა რუსეთის სტრატეგიული პლაცდარმი (ამას მოწმობს საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების მიერ დადებული ახალი ხელშეკრულება საქართველოში რუსეთის სამხედრო ბაზების 25 წლით განლაგების თაობაზე).

ჩვენ, ეროვნული გვარდიის მთავარი სამმართველოს სამხედრო ხელმძღვანელები, ამჟამად დატყვევებულნი საქართველოს მმართველი რეჟიმის მიერ, ღვთისა და ერის, სამართლიანობისთვის და კანონიერებისთვის დაღუპულ მებრძოლთა სულების წინაშე ვაცხადებთ: კანონიერი ხელისუფლების მიერ შექმნილი საქართველოს ეროვნული გვარდია, რომელიც იღწოდა ძმათაშკველი ომის თავიდან ასაცილებლად, სამხედრო გადატრიალების გზით განდევნილი პრეზიდენტის და კანონიერი ხელისულების აღსადგენად, იცავდა დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას "მხედრიონი"-სა და ფაქტობრივი ხელისუფლების სისხლიანი თარეშისგან, ძარცვა-გლეჯისგან, თავის კონტროლს დაქვემდებარებულ რაიონებში თავშესაფარი მისცა 200 000-მდე ლტოლვილს, ისევ ერთგულია ღვთის, ერის, პრეზიდენტის წინაშე 1991 წლის 26 მაისს დადებული ფიცის, საქართველოს კონსტიტუციის (რომლის მოქმედება შეჩერებულ იქნა სამხედრო გადატრიალების შედეგად), საქართველოს კანონიერი ხელისუფლებისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპისა.

წმინდა გიორგი ფარავდეს სრულიად საქართველოს!

სამხედრო ტყვეები:

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული გვარდიის
მთ. სამმართველოს უფროსი,
პოლკოვნიკი ვახტანგ (ლოთი) ქობალია

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული გვარდიის
მთ. სამმართველოს ოპერატიული სამსახურის უფროსი,
პოლკოვნიკი ჯამბულ ბოკუჩავა

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული გვარდიის
გურია - იმერეთის პოლკის უფროსი,
პოლკოვნიკი იოსებ ჟღენტი

TAVISUPALI SAKARTVELO

(FREE GEORGIA)

No7 (in brief)

5 - 11 March 1996

THE LORD ALMIGHTY SENTENCED ME TO FIGHT FOR THE FREEDOM AND PROSPERITY OF MY MOTHER LAND AND WHERE EXACTLY I SHALL SERVE MY TERM IS OF

Lawyer Temur Goksadze's Speech for Defense

Supreme Court
February 20, 1996

[illegible] from "Tavisupali Sakartvelo" # 6)

The next charge is concerned with the fact that the supporters of the President Zaur Kobalia among them did not allow the refugees to enter Zugdidi and Zugdidi Region. One need not to be a mathematician to prove the futility of this accusation. It is a well known unquestionable fact that only in Zugdidi Region more than 100 000 refugees from Abkhazia have found their shelter in the first days of their displacement. Organized transportation of the refugees was ensured from Jvari-Mestia route and for these aims special transportation means have been allotted. Basing on the elementary geography it becomes clear that when the Kodori region and Ochamchire-Gali are occupied by the enemy, the only way remaining for people to escape is exactly that extremely dangerous route which the miserable refugees were forced to take as the last chance.

In his the accusations the State Prosecutor mentioned that in those days on the territory of Samegrelo were wounded the soldiers of Russian Army. If my memory serves me right, they were Mr. Popov, Borisov, Litvinov, Zubchik. All they were the members of the detachments of a special destination. I can add to this list the other names: Stanislav Parila, Valeri Baibak, Zakhar Chernets, Leon Shirinjatz etc. I wonder the citizens of which country were they and what were they doing on this territory at the time when literally the whole world knew what was going on in West Georgia? What training demarche in that period could be thought of?

In accordance to the Indictment of Zaur Kobalia he is charged with organization of armed bands with the aim of raiding state or other enterprises, institutions or individuals, as well as with participation in the activities of these bands. Neither the preliminary investigation nor the Court hearing managed to confirm the above accusation.

I would like to cite the Appeal of March, 1992 made by the President of Georgia.

"The only difference between us and "democratic opposition" is that we prefer a more difficult though peaceful ways to achieve our goals. At the same time we can understand that part of Georgian population which could not any more to endure the misfortunes befallen on them such as raiding and bringing to ruins of their houses, death of their relatives, mass dispersals, raping of their mothers, sisters and children, and took weapons only to defend themselves and their families from these horrors. Thus the resistance movement in Georgia is a self-defense righteous movement. People have the right to make a united front to defend their lives, their country, the lawful authorities elected by them".

I think one can hardly say anything against such position, especially it concerns us since we are professionals and are well aware, that according to the International Law when a State of Emergency is created, people, nation have the right to take arms to defend themselves, especially as the first to take arms were exactly those people who were initiators and executors of forcible armed overthrow of the lawful authorities.

The investigation actually qualified the Supreme Council as a bandit organization for holding unlawful Sessions. It is not only unlawful, it is actually ignoring the will of the Georgian people, since no one can qualify any body elected by people as bandit organization. Then we all who voted in favor of the preceding authorities should be put to trial for organization of the bandit groups. This is one absurd; the second is: the Session cannot be unlawful and I personally cannot understand the very notion of the unlawful session. The third absurd is: in accordance to the acting Constitution nobody had ever annulled the Supreme Council, it has not declared self-liquidation and the term of office of the Supreme Court has not been expired by that time. In short not a single procedure has been carried out to legally cease the activities of the Supreme Council.

The Prosecutions tries to strengthen its accusation on the background of activities of the armed organization of Loti Kobalia. Since the Court hearing of Loti Kobalia's Case is now on, I will dwell on this issue with maximal delicacy and care though I am impelled to make a general analysis of some moments. Loti Kobalia claims that he is a Head of Department of the national Guard of the lawful authorities of Georgia. Guards in itself is an armed organization and thus one cannot speak of any specially or intentionally formed armed organization. The Guards is a mandatory part of the armed structure of the State. It is subordinated to the Supreme Council, its Presidium and the President. In this case no collision with the Law can be found, since it is impossible to qualify the Major department of National Guards as illegal, armed band nor can it be recognized guilty and punished under such accusation.

In the course of investigation it became clear that restoration of the lawfulness and entering the various cities and towns which the Prosecution charges the defendant and national Guards, was actually happening following the will of the people. In its time a notorious information war campaign has been carried out which claimed that the railway roads were blocked, the distant approaches to the city of Poti were blocked etc. You, Mr. Prosecutor consider these facts confirmed. I would like to remind you that all this was a lie. No blocking of any roads had ever taken place.

I will not dwell on the bank robbing and stealing the money since Mr. Zaur Kobalia had never had anything in common with these facts, Furthermore, in a number of cases these are unspecified, unproved facts, and therefore to use them in relation to Zaur Kobalia is unreasonable.

We trust in the objectivity of the Court Board and believe that it will give all events a respective unbiased, lawful and what is most important just estimation, and in relation to Mr. Zaur Kobalia it will pronounce the verdict of non-guilty because of the absence of the proofs confirming the guilt and will release Mr. Kobalia right from he Court Hall. Such is a requirement of justice.

National Guards Is Faithful to the Oath it Has Made to The President

On February 21 at the Court Session Mr. Jambul Bokuchava appeared in his military uniform and on the behalf of the management of National Guards read the Statement.

On November 28, 1990 as a result of multi-party, all-Georgia, democratic elections the Supreme Council of the Republic of Georgia was elected, and on May 26, 1991 Mr. Zviad Gamsakhurdia was elected as the first President of Georgia. Under the united efforts of the Supreme Council and the President the National Guards has been established. At the end of 1991 and beginning of 1992 the military coup was arranged in Georgia by the ruling circles of Russia as a result of which the lawful authorities were overthrown.

In accordance with the Constitution of Georgia, under the order of the President of Georgia (who at the same time was also the Commander in Chief of the Armed Forces), in West Georgia, namely in Zugdidi was restored the Major Department of the National Guards, and its functioning was continued since then: the National Guards defended the population from the armed criminal-Mafiosi groups, the rail roads and highways from the attacks of the armed formations of the factual authorities.

In the war in Abkhazia unleashed by the ruling circles of Russia the National Guards of Georgia took an active part in the war actions and it is to a significant extent thanks to its efforts that the fall of Sukhumi was delayed by more than one year considering the capitulant policy of the present days authorities.

To the policy of unlawful authorities and Russia the lawful authorities of Georgia opposed the nation-wide resistance and in 1993 in West Georgia was restored the Constitutional order, which was followed by the direct military aggression on the part of Russia. Actually the reoccupation of Georgia has occurred under the direct participation of Admiral Baltin and General Potapov's detachments of special destination.

The National Guards faithful to the lawful authorities of Georgia found itself facing the huge military machine of Russia. This unequal fight sacrificed the life of the first President of Georgia, the Commander-in-Chief Mr. Zviad Gamsakhurdia as well as the lives of hundreds of soldiers and officers of the National Guards. The unfortunate results of the defeat of the national Guards are evident: occupational troops of Russia are again camped in Georgia, North-West frontier of Georgia runs across the Inguri River, the borders of Georgia are "defended" by Russian soldiers, the fourth of the territory of the country was lost and 300 000 citizens became the refugees in their own country; Georgia became the Russian strategic bridge-head (to this testify a new Agreement made by the present day authorities of Georgia about location of Russian military bases in Georgia for the term of 25 years).

We, the leaders of the Major Department of the National Guards of Georgia, who presently are captured by the ruling regime of Georgia, declare: the National Guards established by the lawful authorities of Georgia, which spared no efforts to avoid fratricidal bloodshed, restore the exiled authorities and President overthrown as a result of military coup, defend the population of West Georgia from the bloodsheding raids and robbery committed by "Mkhedrioni" and actual authorities in the regions which were controlled by the National Guards, which provided shelter to more than 200 000 refugees, are still faithful to the oath made on May 26, 1991 and Constitution (which was suspended after the military coup), lawful authorities of Georgia and principles of the territorial integrity of Georgia.

Captives:

Head of the Major Department of the National Guards of Georgia

Colonel Vakhtang (Loti) Kobalia

Head of Operative Service of the major Department of the national Guards of Georgia,

Colonel Jambul Bokuchava

Commander of the Guria-Imereti Regiment of the National Guards of Georgia

Colonel Joseph Zhgenti

მთავარი რედაქტორი თამარ ებრალიძე

EDITOR IN CHIEF TAMAR EBRALIDZE

მოგვწერეთ მისამართზე: 380008, თბილისი 8, საბონენტო ყუთი №227

Address for correspondence: Box #227, 380008, Tbilisi 8, Georgia